დანართი 11

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დებულება

თბილისი 2024

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. კოლეჯის შპს „უსაფრთხოების აკადემია“ (შემდგომში - კოლეჯი) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით, წინამდებარე დებულებით და კოლეჯის სხვა ნორმატიული აქტებით.

1.2. სამსახური ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. სამსახურის მიზანია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს, სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სასწავლო-საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობისთვის შესაბამისი პირობები.

2.2. სამსახურის ამოცანები:

2.2.1. საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;

2.2.2. საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურს-ცენტრების მოწყობა და მათი გამართული ფუნქციონირების უზრუველყოფა.

2.3. სამსახურის ფუნქცია:

2.3.1. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და გატარება;

2.3.2. ახალი სისტემური პროგრამული საშუალებების დანერგვა;

2.3.3. სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა;

2.3.4. ინტერნეტ-სერვისებით (ვებ-სერვისები, ელექტრონული ფოსტა) მომსახურების ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება;

2.3.5. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური აპარატული (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა) უზრუნველყოფა.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა.

3.1. სამსახურს ხელმძღანელობს სამსახურის უფროსი.

3.2 სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის რექტორი.

3. 3. სამსახურის უფროსი:

3.3.1. განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

3.3.2. წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

3.3.3. ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის კოლეჯის საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების გზით.